თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №5

თბილისი, 9 სექტემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- თორნიკე ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ნატაშა როთჩაილდი – „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- თამარ ბასილაია – თარჯიმანი/თანაშემწე;
- შონ დანი – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) სადამკვირვებლო მისიის დირექტორი;
- ანა მიქაძე – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) პროგრამის ოფიცერი;

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს. კომისიის წევრებმა მოისმინეს ბატონი ალექსანდრეს მოხსენება მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ანა წითლიძის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თქმითაც, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში შეცვივდნენ შეურაცხყოფებით. მომხსენებლის განცხადებით, 2024 წლის 2 სექტემბერს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში 112-დან დაფიქსირდა ანა წითლიძის შეტყობინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბში უცხო პირთა შესვლის შესახებ. შეტყობინების საფუძველზე ადგილზე გამოცხადდა პოლიციის ეკიპაჟი, ინციდენტის მონაწილე პირები გადაყვანილ იქნენ პოლიციის განყოფილებაში. გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ შტაბში მივიდა ადგილობრივი მცხოვრები დავით კუკავა, რომელსაც მოუვიდა სიტყვიერი შელაპარაკება შტაბის წევრ ლანა აფრასიძესთან, რის შემდეგაც დავით კუკავამ დატოვა შტაბის ეზო. ლანა

აფრასიძე უკან გაჰყვა დავით კუკავას, რა დროსაც ქუჩაში შეხვდა პარტია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის დელეგატ დავით კოდუას მამა – ოთარ კოდუა, რომელსაც დაუწყო კამათი. ლანა აფრასიძე გასაუბრებაში აფიქსირებს, რომ ოთარ კოდუამ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც მოითხოვა პრევენციული ზომების გატარება. როგორც ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, გასაუბრება შედგა კიდევ ოთხ პირთან, მათ შორის, ანა წითლიძესთან. ისინი აფიქსირებენ ზოგადად სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს, მაგრამ გამოძიების დაწყების ან სისხლისსამართლებრივი რეაგირების შესახებ მოთხოვნა არ შესულა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მომხსენებლის თქმით, შედგა შესაბამისი ოქმები და მიეცათ მითითება შემდგომში მსგავსი ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ. ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ გამოძიება არ დაწყებულა და ინციდენტი ამოწურულია.

მომხსენებელმა ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდეგ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მოქალაქე ირაკლი ეძგვერაძის დაკავების ფაქტს. მისი თქმით, 2024 წლის 4 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები გლდანის პირველ მიკრორაიონში სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში ატარებდნენ პირად ჩხრეკას და შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს ვიდეოგადაღების თანხლებით, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ ჩხრეკა/ამოღების დროს აუცილებელია, არსებობდეს ვიდეომასალა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა ღამის საათებში, რის გამოც ხილვადობა არ იყო შესაბამისი და ვიდეოს ხარისხიც არ იყო სათანადო. სწორედ ამიტომ თანამშრომლებმა გამოიყენეს ტელეფონის განათება. ამ დროს პოლიციელებთან მოულოდნელად მივიდა ირაკლი ეძგვერაძე და აგრესიული ტონით მოითხოვა, არ გადაეღოთ. გარდა ამისა, პოლიციელებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმეჯერ განუმარტეს, რომ ხელი არ შეეშალა საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისთვის და დაეტოვებინა ტერიტორია, თუმცა, ის კვლავ განაგრძობდა შეურაცხყოფის მიყენებას. ინციდენტის შედეგად ადგილზე შეკრებილი ხალხმრავლობის გამო ვერ მოხერხდა პირადი ჩხრეკის ვიდეოგადაღება და ოქმის ადგილზე შევსება. პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისთვის ადმინისტრაციული წესით დააკავეს ირაკლი ეძგვერაძე. მის დაკავებას ხელს უშლიდა ირაკლი ნადირაძე,

რომელიც არის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ის ადგილზე შეკრებილ ხალხს მოუწოდებდა გზის გადაკეტვისა და ხელის შეშლისკენ. როგორც ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, ირაკლი ეძგვერაძისა და ირაკლი ნადირაძის მიმართ დაწყებულია საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, რაც გულისხმობს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და მათ შეურაცხყოფას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა სასამართლოს პირველი სხდომა, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულებები. დაცვის მხარის მოთხოვნით სხდომა გადაიდო, ვინაიდან მათ სურდათ დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. რაც შეეხება თავად ირაკლი ეძგვერაძის განცხადებას, რომ მის მიმართ ძალა გამოიყენა პოლიციამ, ამის თაობაზე ინფორმირებულია სპეციალური საგამოძიებო სამსახური.

ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ კიდევ ერთ ინფორმაციაზე „ქართული ოცნების“ წევრ ერმილე გიგიაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მან მიუსამძიმრა გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს. მომხსენებლის თქმით, 2024 წლის 4 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის წყალტუბოს სამმართველოში დაიწყო გამოძიება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში „ქართული ოცნების“ წევრ ერმილე გიგიაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე (დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით). გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო რეგიონული სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების შეტყობინება 60 წლის ერმილე გიგიაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის 4 სექტემბერს, 14:30 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, თამარ მეფის ქუჩაზე, „ქართული ოცნების“ ოფისის წინამდებარე ტერიტორიაზე სანოტარო ბიუროში იმყოფებოდა ამერიკის მოქალაქე როლანდი ნუცუბიძე, რა დროსაც შელაპარაკება მოუვიდა ადგილობრივებთან, მათ შორის, ერმილე გიგიაძესთან. ბატონმა ერმილემ დაკარგა გონება და, სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ძალისხმევის მიუხედავად, გარდაიცვალა. ბატონი ალექსანდრეს თქმით, ამ ეტაპზე მოწმეთა ჩვენებები აღებულია რამდენიმე პირისგან, დათვალიერებულია შემთხვევის ადგილი, გამოთხოვილია სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, დანიშნულია გვამის სამედიცინო ექსპერტიზა სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგენის მიზნით, ამასთან, მიმდინარეობს აქტიური

საგამოძიებო მოქმედებები. მომხსენებლის თქმით, ამ ეტაპზე რაიმე სახის შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა ბატონმა დავით მათიკაშვილმა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"). მისი თქმით, ეს არის სიძულვილის ენის რადიკალიზმში გადაზრდილი დაპირისპირების შედეგი, რომლის ავტორებიც არიან პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. მან აღნიშნა, რომ უშუალოდ ფაქტი არის კარგად გასააზრებელი როგორც კომისიისთვის, ისე დამკვირვებლებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ალექსანდრეს მოხსენებისთვის და, დღის წესრიგის შესაბამისად, სიტყვა გადასცა ბატონ გელა გელაძეს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე). მან ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ნამაშევისა და ნოქალაქევის სკოლის დირექტორების სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით შესაძლო გათავისუფლების საკითხს. მისი თქმით, ბატონი მინდია 2005 წლიდან ასრულებდა დირექტორის მოვალეობას ნამაშევის საჯარო სკოლაში. ბოლო წლებში სისტემის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს სკოლის დირექტორების სერტიფიცირებული ტესტირების წარმატებით დასრულებას. 2012 წლიდან მრავალჯერ ჩატარდა სერტიფიცირება და მიუხედავად ბატონი მინდიას მხრიდან არაერთხელ მცდელობისა, ვერ გადალახა ტესტირების მინიმალური ზღვარი. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ვერ შეძლო სამეურვეო საბჭოში მისი კანდიდატის წარდგენა სკოლის დირექტორის არჩევნებზე. სწორედ ამიტომ ვერ მოხერხდა დირექტორის პოზიციაზე მისი გადაყვანა.

ბატონმა გელამ ისაუბრა სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის დირექტორზეც, ქალბატონ შორენაზე. მან 2023-2024 წლებში მიმდინარე სერტიფიცირების პროცესში ტესტირება წარმატებით გადალახა, რომელშიც მონაწილეობდა მხოლოდ 2 კანდიდატი. კომისიის მხრიდან შეირჩა საუკეთესო კანდიდატი, რომელიც შემდგომ უკვე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დაინიშნა დირექტორად. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიმე სახის პოლიტიკურ ზეწოლას ან პოლიტიკურ პროცესთან კავშირს ადგილი არ ჰქონია.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოეხმაურა ბატონი დანიელ დავითაშვილი (ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე), რომელმაც აღნიშნა, რომ ტელეკომპანია „ტვ პირველი“ მცდარ ინფორმაციას ავრცელებს.

ბატონმა დავით მათიკაშვილმა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“) კომისიის წევრებს მოახსენა ინფორმაცია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ საარჩევნო პლაკატების ჩამოხევის ფაქტთან დაკავშირებით, რაც დაფიქსირებულია ვიდეოკამერით. მისივე განცხადებით, „ქართული ოცნების“ შეკრებაზე ახალციხეში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იდგა საშხაპე მოწყობილობით, რომელიც პირდაპირ პროვოკაციაზე მოდიოდა და გაიძახოდა – როდის გამოვა ბიძინა ივანიშვილი აბაზანიდანო. ბატონი დავითის თქმით, ეს იყო აშკარა პროვოკაცია, რომელსაც დამსწრეთაგან არავინ აჰყვა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრები ყოველთვის მოუწოდებენ საკუთარ ამომრჩევლებს, არ წამოეგონ პროვოკაციაზე და თავიდან აირიდონ ფიზიკური დაპირისპირება.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ გელას მოხსენებისთვის და სიტყვა გადასცა ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). კომისიის წევრებმა მოისმინეს მოხსენება ტელეკომპანია „ფორმულას“ სიუჟეტში გასულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს ემიგრანტებს ესპანეთში საკონსულო აღრიცხვის შესაძლებლობა არ ეძლევათ. ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაინტერესდა აღნიშნული ინფორმაციით და განხორციელდა მოკვლევა. მისი თქმით, ორგანიზაციამ, რომელმაც გაავრცელა აღნიშნული ინფორმაცია, დაფუძნებულია ვალენსიაში. ყველა იმ მოქალაქეს, რომლებიც საკონსულო აღრიცხვაზე დადგომას ითხოვდნენ მადრიდში, ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე, ეკუთვნოდა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა ბარსელონაში. შესაბამისად, მოქალაქეები უკვე ინფორმირებული არიან, თუ სად უნდა დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე და ამის შემდეგ ექნებათ შესაძლებლობა, გამოიყენონ თავიანთი საარჩევნო უფლება.

ქალბატონ ხათუნას გამოეხმაურა ბატონი დანიელ დავითაშვილი, რომლის თქმითაც, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით ცესკო-ს ყველაფერი სათანადოდ აქვს ორგანიზებული.

კომისიის თავმჯდომარემ კვლავ გადასცა სიტყვა ბატონ დავით მათიკაშვილს. ბატონმა დავითმა გაიხსენა რამდენიმე დღის წინანდელი შემთხვევა, როდესაც იგი ოჯახთან ერთად ბრუნდებოდა მიუნხენიდან თბილისში და მიუნხენის აეროპორტში ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც თავს ასაღებდა რიგით მოქალაქედ, სცადა მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის შეურაცხყოფის მიყენება. ბატონი დავითის თქმით, ამ ქალბატონის მეუღლე საქართველოში მოქმედი ამერიკული საბჭოების ერთ-ერთი ხელმძღვანელია და მან ფარულად გადაიღო მიუნხენის აეროპორტში მომხდარი ინციდენტი, შემდეგ კი, გადაღებული კადრები განათავსა სოციალურ ქსელში. ამერიკული საბჭოებისთვის წერილით მიმართვის შემდეგ ბატონმა დავითმა პასუხად მიიღო, რომ ქალბატონი, რომელმაც მიუნხენის აეროპორტში სცადა მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის შეურაცხყოფის მიყენება, არ არის ამერიკული საბჭოების წევრი, მაგრამ ბატონმა დავითმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიდეოს გადამღები ზემოდასახელებული ბატონი საქართველოში დონორი ორგანიზაციის ხელმძღვანელია და იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყო პროცესების განმუხტვისთვის, პირიქით – ვითარება გაამწვავა ვიდეოს გადაღებითა და სოციალურ ქსელში განთავსებით. რამდენადაც ბატონმა დავით მათიკაშვილმა შესაბამისი პასუხი ვერ მიიღო ამერიკული საბჭოებისგან, მან მიმართა სხდომაზე დამსწრე საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მოსთხოვონ პასუხი ამერიკულ საბჭოებს, რომ იქნებ მათ მაინც მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი შარაბიძეს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე). ბატონმა გიორგიმ ისაუბრა იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ერთი დღის წინ შეემთხვათ ცესკო-ს წარმომადგენლებს სასამართლოში, სადაც სხდომის მიმდინარეობისას და შემდგომ უკვე ეზოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განახორციელა შეტევა ცესკო-ს წარმომადგენლებზე. კერძოდ, ზემოაღნიშნული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და მუქარას მედიის თანდასწრებით. ბატონი გიორგის თქმით, სახეზეა საარჩევნო ადმინისტრატორებზე შეტევის მცდელობა. აქედან გამომდინარე, ცესკო-მ სახალხო

დამცველთან ერთად გაავრცელა განცხადება საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარისადმი, რომ მათი მხრიდან ხელი შეეწყოს სიძულვილის ენისგან, მუქარისა და დაშინებისგან თავისუფალ საარჩევნო გარემოს. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს შესთავაზა კომისიის სახელითაც მსგავსი განცხადების გავრცელება საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიმართ, რათა მაქსიმალურად იყოს შესაძლებელი თავის შეკავება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისადმი ზეწოლის, მუქარის და იმგვარი ქმედებებისგან, რაც საფრთხეს შეუქმნის მათ მიერ საკუთარი მანდატის განხორციელებას.

სიძულვილის ენის შედეგების თვალსაჩინოების გამოსაკვეთად სიტყვა მოითხოვა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელმა. მან კომისიას აცნობა ქარელში წინა დღეს მომხდარი ფაქტის თაობაზე. კერძოდ, ქარელის მუნიციპალიტეტში პოლიტიკური პარტია „ლელოს“ წარმომადგენლები არიგებდნენ ფლაერებს, რა დროსაც თავისი სახლის წინ მდგომ ერთ-ერთ ქალბატონსაც (მერის მოადგილის მეუღლე) მიაწოდეს თვალსაჩინოება, რომელმაც შემდგომ ის გადააგდო და მოუწოდა „ლელოს“ წარმომადგენლებს, დაეტოვებინათ იქაურობა. ამაზე „ლელოს“ აქტივისტები გაბრაზდნენ და დაიწყეს ქალბატონისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება. მერიის ერთ-ერთი თანამშრომელი ქალბატონს გამოესარჩლა, რასაც მოჰყვა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება. საბოლოოდ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით.

კომისიის თავმჯდომარემ სამწუხარო უწოდა იმ ფაქტს, რომ არცერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არ ესწრებოდა კომისიის სხდომას. მისი თქმით, გაუგებარია, როგორ შეიძლება პოლიტიკური პარტია, რომელიც დაინტერესებულია არჩევნების სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარებით, არ დაესწროს იმ კომისიის სხდომას, რომელსაც ყველა რელევანტური უწყების ხელმძღვანელი პირი და, მათ შორის, ცესკო-ს წარმომადგენლები ესწრებიან.

ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილისა და ბატონი დავით მათიკაშვილის სიტყვით გამოსვლებთან დაკავშირებით ბატონმა რატი ბრეგაძემ აღნიშნა, რომ ცალკეულ პირებს მარტო თუ ოჯახის წევრებთან ყოფნის დროს პირად სივრცეში მართლაც მიადგება ხოლმე ზოგიერთი აქტივისტი და მოიხსენიებენ შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი ტერმინებით, ხოლო ღირსება საქართველოს კონსტიტუციით დაცული უზენაესი ღირებულებაა, რომლიდანაც,

შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა უფლება მომდინარეობს; ამასთან, ოჯახის წევრების და, მით უმეტეს, შვილების თანდასწრებით ამგვარი ქმედებების ჩადენა საკმაოდ მძიმე შედეგების მატარებელი შეიძლება იყოს.

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისადმი განცხადებით მიმართვა, რათა მაქსიმალურად შეიკავონ თავი სიძულვილის ენის გამოყენებისა და ნებისმიერი სახით საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების შეურაცხყოფისა და ზეწოლისაგან.

ბატონმა რატიმ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი